

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2014 წლის ოქტომბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილების ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის №1 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მისი მიღების პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარსადგენ დოკუმენტებს და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.
2. პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას კვალიფიციური და სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიღებაში.

მუხლი 2. სამედიცინო მომსახურების სახეები

1. მოქალაქისათვის სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მიერ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი სამედიცინო მომსახურების სახეები:
 - ა) წინასწარი ამბულატორიული გამოკვლევები;
 - ბ) სტაციონარული მკურნალობა;
 - გ) მედიკამენტების შეძენა;
 - დ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დუშეთის მუნიციპალიტეტიდან სხვა, ნებისმიერ საავადმყოფოში გადაყვანის ხარჯები.

მუხლი 3. მომსახურების დაფინანსების წესი

1. დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ეფექტიანად და მოწესრიგებულად გაწევის მიზნით, გამგებლის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სამედიცინო დახმარების გაწევისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი თანხის განსაზღვრაზე.
2. კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეები, ასევე სამედიცინო სფეროდან მოწვეული სპეციალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა საზოგადოებრივი წარმომადგენლები.
3. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრება გამგებლის წარმომადგენელი იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომლის სამოქმედო ტერიტორიიდანაც არის წარდგენილი განცხადება დახმარების თაობაზე.
4. მოქალაქისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის თაობაზე განცხადება წარედგინება მუნიციპალიტეტის გამგებელს.

5. განცხადებას თან უნდა ერთოდეს: კ/მოწმობის ან პასპორტის ქსეროასლი, შესაბამისი სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა №100, შესასრულებელი სამუშაოს კალკულაცია და ანგარიშ-ფაქტურა.
6. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, კომისია იღებს გადაწყვეტილებას, განმცხადებლისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თაობაზე.
7. გადაწყვეტილების მიღებაზე კომისია უფლებამოსილია, თუ ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
8. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
9. კომისიის ოქმს თან ერთვის განხილული დოკუმენტაცია. ოქმი საბოლოო სახით, თანდართული დოკუმენტაციით, ინომრება და იკინძება, რომლის შედგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
10. კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, გამგებელი გამოსცემს ბრძანებას მოქალაქისათვის შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება

1. სამედიცინო მომსახურების ღირებულება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება:
 - ა) 500 ლარის ჩათვლით – 100% -მდე;
 - ბ) 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით – 70% - მდე;
 - გ) 1001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით – 55% - მდე;
 - დ) 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით - 35 % -მდე;
 - ე) 5000 ლარიდან ზევით 25% –მდე.
2. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება დასახმარებელი თანხის ოდენობა.
3. მოსარგებლე (ბენეფიციარი) დუშეთის მუნიციპალიტეტიდან ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებისათვის იღებს საგარანტიო წერილს, რომელსაც წარადგენს სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებაში.
4. კატეგორიები, რომელთა სამედიცინო დახმარებაც ფინანსდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ:
 - ა) მრავალშვილიანი ოჯახები (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილით);
 - ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილი);

გ) მარტოხელა და 80 წელს გადაცილებული მოხუცები;

დ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები;

5. საყოველთაო დაზღვევით ნაწილობრივი დაფინანსებისას, დარჩენილი თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ამ დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის, გამოკვლევის და გადაუდებელი ოპერაციული თუ თერაპიული მკურნალობის 100%-მდე დაფინანსება ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

7. წარსადგენი საბუთები:

ა) განცხადება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე, რომელსაც ახლავს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ანგარიშფაქტურა, კალკულაცია და ფორმა №IV-100/ა.

მუხლი 5. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 250 ლარის ოდენობით ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:

ა) ვეტერანის მოწმობის მიხედვით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (კოდი _400) გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა (კოდი -100) სარიტუალო მომსახურება.

ბ). ვეტერანის მოწმობის მიხედვით მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა (კოდი-300) სარიტუალო მომსახურება;

2. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) დაკრძალვის ხარჯების მიმღები პირის განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები

მუხლი 6. ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დახმარება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება გაეწევა ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგი კატეგორიის ომის ვეტერანებს ან მათ ოჯახებს:

ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში (ავხაზეთი/სამაჩაბლო) დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე;

გ) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე მებრძოლებზე და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებზე;

2. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ ბენეფიციართა კონტინგენტსა და მათი საბანკო (საპენსიო) ანგარიშების რეკვიზიტებს აზუსტებს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბენეფიციარებს დახმარება მიეცემათ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს - 9 მაისს, „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ბენეფიციარებს - 2 ივლისს, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გასაზღვრულ ბენეფიციარებს - 8 აგვისტოს.

5. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ბანკში გახსნილ პირად ანგარიშზე.

მუხლი 7. ხანძრით, სტიქიური მოვლენებით უსახლკაროდ დარჩენილ და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებული ოჯახების დახმარება

1. ამ მუხლის შესაბამისად, დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით, სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ) ასევე, სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს;

2. ხანძრით, სტიქიური მოვლენებით და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს, ერთჯერადი დახმარება გაეწევათ 1000 (ერთი ათასი) ლარამდე ოდენობით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საკრებულოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხა.

4. დაზარალებული ოჯახის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება გამგებლის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა კომპეტენტური დაწესებულებიდან, ან სტიქიით მიყენებული ზარალის შესაფასებლად მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისიის დასკვნა (ასეთი კომისიის არსებობის შემთხვევაში);

დ) საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 8. ასი და ას წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ ასი და მეტი წელი, ასევე მრავალშვილიან (3 და მეტი შვილი) ოჯახებს ფინანსური დახმარება გაეწევათ წელიწადში ერთხელ ასი ლარის ოდენობით.

2. წარსადგენი საბუთები:

ა) მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან, გამგებლის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი;

ბ) ოჯახის უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო დაწესებულებაში მისი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 9. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი მომსახურება

1. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი მომსახურება ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე 110 (ასათი) პირის დღეში ერთჯერ (გარდა კვირა დღისა) სამკომპონენტო სადილით უფასო კვებას.

2. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოს მომხმარებელთა კონტინგენტი განისაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტით.

მუხლი 10. ეკონომიკურად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი დახმარება

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ერთჯერადი დახმარების სახით განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარიდან 200 (ორასი) ლარამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული დახმარება გაეწევათ გაჭირვებულ მოქალაქეებს, ასევე პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 57 000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა. განსაკუთრებული პრობლემების მქონე მოქალაქეებს, კერძოდ:

ა) დიაბეტიკები, უსინათლოები, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიით შეპყრობილი ავადმყოფები;

ბ) შშმპ, მათ შორის არასრულწლოვნები;

გ) ონკოლოგიური ავადმყოფები;

დ) პირებს, რომლებმაც ითავეს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვა;

ე) მრავალწევრიან ოჯახებს (5 და მეტი წევრი)

2. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიას უფლება ენიჭება გაზარდოს აღნიშნული თანხა 2000 (ორი ათასი) ლარამდე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ ბენეფიციარებს შესაბამისი დახმარება გაეწევათ ერთჯერადად (წელიწადში ერთხელ).

4. წარსადგენი საბუთები:

ა) განცხადება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე, მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ _ ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ექიმის დანიშნულების საფუძველზე გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა./50), ხოლო „ლ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი და გარდაცვლილის გარდაცვალების მოწმობა;

დ) საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 11. მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით ავთიაქებში თანხის გადარიცხვა

1. ეკონომიკურად გაჭირვებული მოქალაქეები მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად ავთიაქებში თანხის გადარიცხვის წესით 100 ლარის ფარგლებში დაფინანსდნენ:

ა) ეპილევსიით დაავადებულები;

ბ) პარკინსონით დაავადებულები;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ოჯახებსაც მინიჭებული აქვთ 0დან –100 000–მდე სარეიტინგო ქულა;

2. დაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მოქალაქის განცხადება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე, მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული.

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ექიმის დანიშნულების საფუძველზე გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #IV-100/ა,) და კალკულაცია.

მუხლი 12. სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს დუშეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში _ სამსახური).

2. სამსახური ასევე უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიმღებთა (ბენეფიციართა) სიების კომპიუტერულ დამუშავებას.

3. სამსახური ამოწმებს მუნიციპალიტეტში შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. შემოწმების შემდგომ სრულყოფილ დოკუმენტაციას გადასცემს სოციალური დახმარების გაცემის კომისიას (შემდგომში _ კომისია), ხოლო შემოსულ დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ მიმართავს განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად.

მუხლი 13. კომისიის მიერ განცხადებების განხილვა

1. კომისია იქმნება და მისი შემადგენლობა განისაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

2. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიას და უძღვება მის სხდომებს.

3. კომისიის მდივანი პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის შედგენაზე და, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, უძღვება კომისიის სხდომის მუშაობას. ამ შემთხვევაში კომისიის მდივანი უფლებამოსილია კომისიის მდივნობა დააკისროს კომისიის რომელიმე წევრს.

4. კომისიის სხდომა ტარდება თვეში ერთხელ მაინც.

5. სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ადგილის, დროისა თარიღის თაობაზე შეასაბამისი ინფორმაციის წინასწარ, ერთი დღით ადრე განთავსებას დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო სტენდზე.

მუხლი 14. პროგრამის განხორციელების შედეგი

1. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. კომისიის მიერ საკითხის გადაწყვეტა ხდება ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითი და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე.

მუხლი 15. კომისიის ოქმები

1. კომისიის ყოველი სხდომისას დგება შესაბამისი ოქმი.

2. კომისიის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.

3. კომისიის სხდომის ოქმები იკრიბება ცალკე საქალაქო რეგისტრის მიხედვით.

4. კომისიის სხდომის ოქმის სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სამსახურის უფროსი.

მუხლი 16. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, კომისიის ოქმის საფუძველზე.

მუხლი 17. სოციალური დახმარების პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სუბიექტები სოციალური დახმარების პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სუბიექტები არიან

1. საორგანიზაციო ნაწილში - დუშეთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

2. საფინანსო ნაწილში - დუშეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.